ხელშეკრულება N45
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 16 მაისი 2022 წ.

ერთის მხრივ, შპს **"ჯორჯიან სერვის ნეთვორკი"** (შემდგომში "შემსრულებელი") იურისტის **გიორგი წაქაძის** სახით და მეორეს მხრივ ა.ა.ი.პ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვიათარების ცენტრების გაერთიანება ს/ნ:243918070 წარმომადგენელი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, (შემდგომში "დამკვეთი"), ვხელმძვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და „სახელმწიფო შაყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. მიმწოდებელი შემსყიდველს უწევს მომსახურებას. კერძოდ, შემსყიდველი საკუთრებაში არსებულ საკონტროლო სალარო აპარატს daizy e.Expert, DY00033546 უცვლის 1 (ერთი) ცალ ლითიუმის ელემენტი 3V (შიდა კვებისათვის) (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი") წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
1.2 შესყიდვის ობიექტის CPV კოდი - 50311000.

2. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორება
2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **24.00 (ოცდაოთხი) ლარს**.
2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქონლის (მომსახურების) მიწოდებიდან 03 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. საქონლის ხარისხი
3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში.

4. საქონლის მიღება - ჩაბარების წესი
4.1 თუ შესყიდვის ობიექტი აკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს, მაშინ მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ნიკოლოზ ბოლოკაძე **პ/№57001006977, ნუგზარ ნოზაძე პ/ნ** 57031006644.
4.2 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5. საქონლის მიწოდების ადგილი
5.1. საქონლის (მომსახურების) მიწოდება ხორციელდება მიმწოდებლის სერვის ცენტრში ქ. გორი, სტალინის გამზ. №9.(https://www.gsn.ge/pages/offices ფილიალების ჩამონათვალი იხილეთ აქ)

6. შემსყიდველის ძირითადი უფლება-მოვალეობანი
6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
6.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
6.1.2. შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
6.1.3. მოსთხოვოს მიმწოდებელს ინფორმაცია საქონლის შესახებ.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

7. მიმწოდებლის ძირითადი უფლება-მოვალეობანი
7.1. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.1.1. მოითხოვოს შემსყიდველისაგან საქონლის ღირებულების დროული გადახდა და ხელშეკრულების სხვა პირობების შესრულება.
7.2. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.2.1. მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

7.2.2. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 შემსყიდველი ვალდებულია სრულად ან დროულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს, მიწოდებული საქონლის ღირებულება (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად).

8.2 ფორს-მაჟორულ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი მოვლენები, რომელთა მოსალოდნელი დადგომის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისი მხარისთვის, წინასწარ ცნობილი იყო და/ან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 25 ივნისამდე.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. მხარეთა ხელმოწერები:

მიმწოდებელი შპს "ჯორჯიან სერვის ნეთვორკი" ს/ნ: 406049823 საიტი: gsn.ge ელ. ფოსტა: info@gsn.ge ტელ: 032 2 500 111 ს.ს. „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE70TB7114436080100001 **გიორგი**	**შემსყიდველი** ა.ა.ი.პ კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებით განვითარების ცენტრების გაერთიანება ს/ნ: 243918070 ფაქტობრივი მის: ხაშური, რუსთაველის ჩიხი2, შენობა N6 ელ. ფოსტა: gia.bolokadze@gmail.com ტელ: 0368 24 03 87 საკონტაქტო პირი: გიორგი ბოლოკაძე ბანკის კოდიTRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 **გიორგი ბოლოკაძე**

Giorgi Tsakadze 09001001390 Digitally signed by Giorgi Tsakadze Date: 2022.05.16 16:35:59

N(N)LE "The United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development" Digitally signed by N(N)LE "The United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development" Date: 2022.05.16 16:39:54 +04'00'